

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 29 ივნისის 12 სხდომის

დ ა დ ბ ე მ ნ ი ლ ე ბ ა 1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 29 ივნისის 12 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის პროექტის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სტუ-ის დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 29 ივნისის 12 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ს ი ლ ე ბ ა 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 29 ივნისის 12 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის მასშტაბით დამხმარე პერსონალის, კერძოდ შტატგარეშე მომუშავეთა, შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადის განსაზღვრის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: უნივერსიტეტის მასშტაბით ყველა იმ დამხმარე პერსონალის შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა, რომლებიც დასაქმებულნი არიან შტატგარეშე მომუშავეთა სახით, განისაზღვროს მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

## წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 29 ივნისის 12 სხდომის

### დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 29 ივნისის 12 სხდომაზე სტუ-ის საგეგმო-საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა კონსტანტინე ქურციკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სტუ-ის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. სტუდენტური პროექტების ფარგლებში ხორციელდება ჯუმბერ ლეჟავას სახელობის ველოსადგომის პროექტის მშენებლობა, რომელიც ხორციელდება სტუ-ის ცენტრის – „ერთად“ თაოსნობითა და მისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში, რომლის ხარჯვითი ნაწილი გაწერილია ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ბიუჯეტში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 3 500 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების სხვა შენობა-ნაგებობების მუხლში;

2. კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში თანამდებობრივი სარგოდან 2 800 ლარი გადატანილ იქნეს პრემიის მუხლში; ელექტროენერგიის ხარჯებიდან 1 400 ლარი გადატანილ იქნეს ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების ხარჯების მუხლში; ელექტროენერგიის ხარჯებიდან – 600 ლარი, ხოლო სატრანსპორტო საშუალებების საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯებიდან – 1 200 ლარი; სულ ჯამში 1 800 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტის დაქირავება, გადაყვანა-გადაზიდვის ხარჯების მუხლში.

ასევე, ინსტიტუტის საკუთარი შემოსავლების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სამეცნიერო ხარჯებიდან 2 000 ლარი, ხოლო რეკლამის ხარჯებიდან 1 200 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტის დაქირავება, გადაყვანა-გადაზიდვის ხარჯების მუხლში;

3. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ელექტროენერგიის ხარჯებიდან 330 ლარი გადატანილ იქნეს საკანცელარიო ხარჯების შეძენის მუხლში;

4. არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯებიდან 800 ლარი გადატანილ იქნეს ელექტროენერგიის ხარჯების მუხლში;

5. ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან: 3 000 ლარი გადატანილ იქნეს მივლინების ხარჯებში; 900 ლარი გადატანილ იქნეს ელექტროენერგიის ხარჯებში; 9 000 ლარი გადატანილ იქნეს სამეცნიერო ხარჯების მუხლში და გადანაწილდეს მე-3 და მე-4 კვარტლებში.

ასევე, შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი სარგოდან 110 ლარი გადატანილ იქნეს დანამატის მუხლში; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის შეძენის ხარჯებიდან მე-2 კვარტლის დაფინანსება – 1 000 ლარი გადატანილ იქნეს საკანცელარიო ხარჯებში; ხოლო მე-3 კვარტალში 1 000 ლარი საკანცელარიო ხარჯებიდან გადატანილ იქნეს ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის შეძენის ხარჯების მუხლში;

6. სტუ-ის სარაგბო გუნდი მონაწილეობს „საქართველოს რაგბის კავშირის“ ეგიდით ორგანიზებულ საქართველოს ჩემპიონატის I ლიგის გათამაშებაში. 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების დროს განხორციელდა გუნდისთვის გადმორიცხული, აუთვისებელი ნაშთის – 37 500 ლარის გადმოტანა 2015 წლიდან, მაგრამ 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შემდგომ, განხორციელდა მთავარი მწვრთნელის მიერ მივლინების თანხის უკან დაბრუნება 597 ლარის ოდენობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში „რაგბის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით“ გათვალისწინებული ნაშთი გაიზარდოს 597 ლარით, ხოლო ხარჯვით ნაწილში გაიწეროს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი. ასევე, მივლინების მუხლიდან 159 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში;

7. ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების სხვა მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის მუხლიდან, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, 8 000 ლარი გადატანილ იქნეს სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების შეძენის მუხლში, ხოლო 2 400 ლარი გადატანილ იქნეს კომპიუტერული მოწყობილობის შეძენის პუნქტში;

8. ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლებისა და ხარჯების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტიდან 1 558 ლარი გადატანილ იქნეს საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯების პუნქტში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული;

9. სტუ-ის ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების სხვა მანქანა-დანადგარების პუნქტიდან, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, 10 637 ლარი გადატანილ იქნეს არასაცხოვრებელი შენობების პუნქტში; ხოლო საკანცელარიო ხარჯებიდან 1 000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების მუხლის მოსაკრებლების პუნქტში.

ასევე, სხვა ხარჯების სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებიდან 170 391 ლარი; კომპიუტერული პროგრამების შეძენისა და განახლების ხარჯებიდან 12 640 ლარი, საკანცელარიო ხარჯებიდან 6 879 ლარი, სულ 189 910 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში, სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოყენებითი კვლევების გრანტების თანადაფინანსებისათვის, რადგან ზემოაღნიშნული ხარჯები გაიწევა ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ხარჯთაღრიცხვით

გათვალისწინებული სახსრებიდან, შესაბამისად, 189 910 ლარით შემცირებას ექვემდებარება სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოყენებითი კვლევების გრანტების შემოსავლები და ხარჯები, ვინაიდან დამტკიცებული გრანტების მოცულობა განსაზღვრული იყო სახელშეკრულებო თანხით, რომელიც მოიცავდა თანადაფინანსების თანხებსაც;

10. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 13 ივნისის 466 ბრძანებით, 2016 წლის 20 იანვრის 31 ბრძანებით დამტკიცებული ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის – „ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში“ ქვეპროგრამის ფარგლებში, სტუ დაფინანსდა 3 394 ლარით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 3 394 ლარით და შესაბამისად, ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს „ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში“ პროგრამით შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში;

11. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში მივლინების მუხლიდან და შრომის ანაზღაურების მუხლის პრემიის პუნქტიდან 6 000 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, ინვენტარის შეძენა/დამონტაჟების პუნქტში; ასევე, საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯები, რომელიც არ კლასიფიცირდება საქონელსა და მომსახურების დანარჩენ მუხლებში პუნქტიდან 3 500 ლარი გადატანილ იქნეს რეკლამის ხარჯებში; ხოლო 600 ლარი – ბუნებრივი აირის ხარჯებში;

12. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ორდენების, სიგელების, სუვენირების, მედლების დროშისა და სხვა ფასიანი საჩუქრების შეძენის ხარჯებიდან 11 758 ლარი და კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯებიდან 2 273 ლარი გადატანილ იქნეს რეკლამის ხარჯებში; ასევე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან – 60 000 ლარი; მივლინების მუხლიდან – 15 860 ლარი; კომპიუტერული პროგრამების შეძენისა და განახლების ხარჯიდან – 1 400 ლარი; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო ხარჯებიდან – 11 000 ლარი; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟება-დემონტაჟის ხარჯიდან – 83 000 ლარი; საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა/შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯიდან – 1 000 ლარი; კავშირგაბმულობის და სატელევიზიო მომსახურების ხარჯიდან – 1 500 ლარი; საფოსტო მომსახურების ხარჯიდან – 500 ლარი; ელექტროენერჯის ხარჯიდან – 20 000 ლარი; წყლის ხარჯიდან – 15 000 ლარი; წარმომადგენლობითი ხარჯიდან – 9 000 ლარი; სამედიცინო დანიშნულების მასალების, ინსტრუმენტების შეძენის ხარჯიდან – 1 500 ლარი; უნიფორმის შეძენის ხარჯიდან – 4 000 ლარი; რბილი ინვენტარის, ხალიჩების, გზამკვლევის და ფარდა/ჟალუზების შეძენის ხარჯიდან – 6 000 ლარი; კადრების მომზადება/გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯიდან – 5 000 ლარი; სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯიდან – 22 000 ლარი; კულტურული,

სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯიდან – 20 000 ლარი; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯიდან – 10 000 ლარი; სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის ხარჯიდან – 2 000 ლარი; სულ ჯამში 288 760 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიის რემონტის ხარჯში. ასევე, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის ელექტრომომწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების, ავეჯის შეძენის პუნქტიდან 7 800 ლარი გადატანილ იქნეს არასაცხოვრებელი შენობების პუნქტში. ასევე, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის ორდენების, სიგელების, სუვენირების, მედლების, დროშისა და სხვა ფასიანი საჩუქრების შეძენის ხარჯებიდან 1250 ლარი გადატანილ იქნეს ბინის ქირის ხარჯებში და ასევე, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯებიდან 3 577 ლარი გადატანილ იქნეს ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების, რეცხვის, ქიმიკატების და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯებში.

13. „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ (პროგრამული კოდი 32 05 05 02 03) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 8 თებერვლის N73 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 22 ივნისის №494 ბრძანების საფუძველზე, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2016 წლის 04 აპრილის №70-01-832/01-38 და 03 ივნისის №70-01-1382/01-38 წერილების და „2016 წელს განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის შემდგომი გამოყენების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 16 მაისის №824 განკარგულების გათვალისწინებით, სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან 24 ივნისის 09-1/62/22 შეთანხმებით პროგრამის ბიუჯეტი ნაცვლად გათვალისწინებული 5 339 410 ლარისა, განისაზღვრა 5 338 910 ლარით. შემცირება შეეხო ქვემოთ ჩამოთვლილი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების 2016 წლის ბიუჯეტის საქონელი და მომსახურების მუხლით განსაზღვრულ სატელეფონო და ინტერნეტ მომსახურებას:

13.1. ბიოტექნოლოგიის ცენტრის ბიუჯეტი ნაცვლად გათვალისწინებული 200 200 ლარისა, განისაზღვრა 200 160 ლარით;

13.2. ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის ბიუჯეტი ნაცვლად გათვალისწინებული 248 900 ლარისა, განისაზღვრა 248 870 ლარით;

13.3. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ბიუჯეტი ნაცვლად გათვალისწინებული 472 200 ლარისა, განისაზღვრა 472 195 ლარით;

13.4. ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ბიუჯეტი ნაცვლად გათვალისწინებული 1 227 810 ლარისა, განისაზღვრა 1 227 710 ლარით;

13.5. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის ბიუჯეტი ნაცვლად გათვალისწინებული 253 600 ლარისა, განისაზღვრა 253 590 ლარით;

13.6. ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ბიუჯეტი ნაცვლად გათვალისწინებული 493 000 ლარისა, განისაზღვრა 492 980 ლარით;

13.7. კვების მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბიუჯეტი ნაცვლად გათვალისწინებული 272 000 ლარისა, განისაზღვრა 271 995 ლარით;

13.8. ინსტიტუტის – „ტექინფორმი“ ბიუჯეტი ნაცვლად გათვალისწინებული 264 300 ლარისა, განისაზღვრა 264 060 ლარით;

13.9. არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის ბიუჯეტი ნაცვლად გათვალისწინებული 461 100 ლარისა, განისაზღვრა 461 050 ლარით.

14. ბიოტექნოლოგიის ცენტრის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთი ბიუჯეტის საქონელი და მომსახურების მუხლის კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯების პუნქტიდან 24 750 ლარი გადატანილ იქნეს მივლინების მუხლში.

**სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს**

**სპიკერი, პროფესორი**

**ჯემალ გახოვიძე**

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

### წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 29 ივნისის 12 სხდომის

#### დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 29 ივნისის 12 სხდომაზე სტუ-ის საგეგმო-საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა კონსტანტინე ქურციკიძემ წარმოადგინა საკითხი მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის დამტკიცებულ სამტატო განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის დამტკიცებულ სამტატო განრიგში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

14.1. ნანოკომპოზიციური მასალების დამუშავებისა და მემბრანული პროცესების კვლევის განყოფილების ნაცვლად შეიქმნას ორი განყოფილება: ნანოკომპოზიციური მასალების დამუშავების განყოფილება და მემბრანული პროცესების კვლევისა და ნანოტექნოლოგიების განყოფილება;

14.2. გაუქმდეს სპეციალისტის 0,5 ერთეული ანაზღაურებით 85 ლარი და მეცნიერ-თანამშრომლის 1 ერთეული ანაზღაურებით 730 ლარი;

14.3. გამოთავისუფლებული თანხა – 815 ლარი გადანაწილდეს შემდეგნაირად: დაემატოს განყოფილების უფროსის 1 ერთეული ანაზღაურებით 800 ლარი; დაემატოს უფროსი ლაბორანტის, ლაბორანტისა და ტექნიკოსის ანაზღაურებას, თითოეულს 5 ლარი და გახდეს თითოეულის 90 ლარი.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს  
2016 წლის 29 ივნისის 12 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 29 ივნისის 12 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ადმინისტრაციული კორპუსის პირველ სართულზე წიგნის მაღაზიის გახსნის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას სტუ-ის ადმინისტრაციული კორპუსის პირველ სართულზე წიგნის მაღაზიის გახსნის შესახებ.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს  
სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

## წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 29 ივნისის 12 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ს ი ლ ე ბ ა 6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 29 ივნისის 12 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სსიპ ქალაქ თბილისის №61 საჯარო სკოლისათვის სტუ-ის საკუთრებაში არსებული მე-7 კორპუსის მე-2, მე-3 და მე-4 სართულების დროებით სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას 2014 წლის 23 მაისს გაფორმებული №10-2014-3 თხოვნების ხელშეკრულება სსიპ ქალაქ თბილისის №61 საჯარო სკოლასა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში კოსტავას №71-ში მდებარე სტუ-ის საკუთრებაში არსებული მე-7 კორპუსის მე-2, მე-3 და მე-4 სართულების დროებით სარგებლობაში გადაცემას, გაგრძელდეს 2017-2018 სასწავლო წლის დაწყებამდე.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

გახოკიძე

ჯემალ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 29 ივნისის 12 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 29 ივნისის 12 სხდომაზე პროფ. დავით ჩიქოვანმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტისა და ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი ქონების ჩამოწერის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას, კანონით დადგენილი წესით, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტისა და ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი ქონების ჩამოწერის შესახებ.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

გახოკიძე

ჯემალ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს  
2016 წლის 29 ივნისის 12 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 29 ივნისის 12 სხდომაზე პროფ. თენგიზ ცეცხლაძემ წარმოადგინა საკითხი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის – „ელექტროქიმიური აქტივაციის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 მაისის დადგენილება №2007.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შეიქმნას თვითდაფინანსებაზე არსებული სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი – „ელექტროქიმიური აქტივაცია“ და დამტკიცდეს მისი დებულება.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 29 ივნისის 12 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 29 ივნისის 12 სხდომაზე პროფ. დავით ჩიქოვანმა წარმოადგინა საკითხი ვ. ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკისა და ნ. მუსხელიშვილის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტების ბალანსზე მყოფი მცირეფასიანი ინვენტარის ჩამოწერის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას, კანონით დადგენილი წესით, ვ. ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკისა და ნ. მუსხელიშვილის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტების ბალანსზე მყოფი მცირეფასიანი ინვენტარის ჩამოწერის შესახებ.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

### წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 29 ივნისის 12 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 10

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 29 ივნისის 12 სხდომაზე სტუ-ის რექტორის მოადგილემ, პროფ. ზურაბ გასიტაშვილმა წარმოადგინა საკითხი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებული თვითდაფინანსებაზე მყოფი სამეცნიერო-სასწავლო ცენტრების გაუქმების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 21 ივნისის დადგენილება №2045.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: გაუქმდეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებული თვითდაფინანსებაზე მყოფი ქვემოთ ჩამოთვლილი სამეცნიერო-სასწავლო ცენტრები:

- „პერსპექტიული მიმართულების ცენტრი“;
- „შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების კვლევების საერთაშორისო ცენტრი“;
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტთან არსებული „მასალათა თვისებების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი“;
- სამშენებლო ფაკულტეტის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის დეპარტამენტთან არსებული „უსაფრთხო ნაგებობათა მშენებლობის ცენტრი“;
- „ელექტროდინამიკური ინჟინერინგის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“;
- „ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ცენტრი“;
- „სასწავლო-სამეცნიერო სოციოლოგიური ცენტრი“;
- „უძველესი სამშენებლო ტექნოლოგიების განვითარების სამეცნიერო ცენტრი“.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 29 ივნისის 12 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 11

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 29 ივნისის 12 სხდომაზე სტუ-ის რექტორის მოადგილემ, პროფ. ზურაბ გასიტაშვილმა წარმოადგინა საკითხი „აღმასებისა და კომპოზიციური მასალების სამეცნიერო ცენტრისათვის“ საშტატო ერთეულების გამოყოფისა და დაფინანსების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 21 ივნისის დადგენილება №2046.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

- 1) გამოეყოს „აღმასებისა და კომპოზიციური მასალების სამეცნიერო ცენტრს“ სამი მთავარი სპეციალისტის საშტატო ერთეული და მათი დაფინანსება მოხდეს 2016 წლის 1-ლი ივლისიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე;
- 2) დაენიშნოს აღნიშნული ცენტრის ხელმძღვანელს, პროფ. ნ. ლოლაძეს 2016 წლის 1-ლი ივლისიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე ხელფასი თვეში 1200 ლარის ოდენობით;
- 3) ეთხოვოს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ზემოაღნიშნული ფინანსების მოძიება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს  
2016 წლის 29 ივნისის 12 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 12

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 29 ივნისის 12 სხდომაზე სტუ-ის საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის უფროსმა, პროფ. ოთარ ზუმბურიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ადმინისტრაციის არააკადემიური პერსონალის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის შესახებ კონცეფციის თაობაზე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს სტუ-ის საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის მიერ წარმოდგენილი სტუ-ის ადმინისტრაციის არააკადემიური პერსონალის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის შესახებ კონცეფცია;
2. ეთხოვოს აღნიშნული სამსახურის უფროსს, პროფ. ოთარ ზუმბურიძეს წარმოადგინოს ოპტიმალური ვარიანტი სამსახურებში დასაქმებულ პერსონალთა რაოდენობის შესახებ.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე